PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

**წევრები:**

თათია გივიშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

*(ქალაქი, წელი)*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება:ა შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 და 18 მარტს ქალაქ თბილისში, ხოშარაულის N30ა-ში მდებარე სასწავლო ფართზე. ვიზიტის ფარგლებში ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორებს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. ვიზიტი წარიმართა შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ავტორიზებული ჰქონდა ერთი პროფესიული პროგრამა, ამ დრომდე კოლეჯს პროგრამაზე მიღება არ განუხორციელებია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ქოქიაშვილი.

-------------------------

-------------------------

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

PDF Eraser Free

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები არ არის გაცემული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1(3)

**განვითარების რეკომენდაცია:** პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები მოდულური პროგრამების სპეციფიკის და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის შესახებ.

2.2.1(6)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსს მქონე პირებისთვის.

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული როგორ უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას - საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

**განვითარების რეკომენდაცია:** შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქიკაბიძე.

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის N01/27 2021 წლის 26 ნოემბრის ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. თბილისი ნ.ხოშარაულის ქუჩა N 30ა მეორე სართული |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 100 პროფესიული სტუდენტი ქ. თბილისი ნ.ხოშარაულის ქუჩა N 30ა მეორე სართული - მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების  შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა  შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯმა გაითვალისწინა სხვადასხვა კვლევის შედეგები:სოლიდარობის ქსელის მიერ ჩატარებული კვლევა „ექთნების შრომის პირობები საქართველოში“ (2019), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროფესიათა რეიტინგის კვლევა, სადაც საექთნო საქმის პროფესიონალები მზარდი პროფესიების ჩამონათვალშია მითითებული; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა, ჯანდაცვის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პანდემიით გამოწვეული გამოწვევა, რამაც გაზარდა მოთხოვნა კვალიფიციურ, სამედიცინო ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებზე ამ სფეროში; პროგრამის დამატება შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიას.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები რეგულირდება კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესითა და პირობებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო გარემოების დატვირთვის, პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის გამტარობის და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის გათვალისწინებას ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, აღნიშნული პროგრამისთვის მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის დასაბუთებისთვის წარმოდგენილია სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

გარემოების დატვირთვა, მხედველობაში არ აქვთ მიღებული პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ოდენობები. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით დაწესებულებას შეუძლია ერთ მიღებაზე მაქსიმუმ 20 პროფესიული სტუდენტის მიღება.
4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან.
5. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
6. პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია „შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესით“; პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის-დირექტორის ბრძანებით.
7. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებიდან, შეესაბამება პროგრამის შინაარსს,პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
8. პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს „საექთნო განათლება“.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;
- პროგრამით,მისი დანართებით და ჩარჩო დოკუმენტით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კოლეჯის მისიით და სტრატეგიული გეგმით;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ქიქაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესით;
- შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- გასაუბრებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ქალაქ თბილისში, ხოშარაულის N30ა-ში მდებარე სასწავლო ფართზე. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის განსაზღვრულია C გარემო (25 პროფესიულ სტუდენტზე), 2 A ტიპის გარემო (24 და 26 პროფესიულ სტუდენტზე), B ტიპის გარემო 24 პროფესიულ სტუდენტზე.

კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში :

- „შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი";
- კლინიკა „იმედი";
- „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი";
- თსუ საუნივერსიტეტო კლინიკის vivamedi- ში;
- „შპს წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის მრავალპროფილიანი კლინინიკური საავადმყოფოსთან"

ხელშეკრულებებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა,ხელშეკრულების თანახმად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------

PDF Eraser Free

თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში, „შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გარდა ყველა კლინიკამ წარმოადგინა მარეგულირების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ უფლებას მოდულის სწავლებაზე. მოდულების გავლისთვის საჭირო ინვეტარი, აღჭურვილობას კლინიკა უზრუნველყოფს.

**კლინიკა „იმედი“-ში ხელშეკრულება გაფორმებულია 30 პროფესიულ სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულებს:**

-კლინიკური პრაქტიკა- პედიატრიული და მოზარდები;

-შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;

-კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;

-შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

**„შპს ფსიქიკური ჯამრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“** (ხელშეკრულება მოქმედებს 2025 წლის 15 აგვისტომდე), ხელშეკრულება გაფორმებულია 30 პროფესიულ სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულებს:

-კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

-შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია;

**„თსუ საუნივერსიტეტო კლინიკის vivamedi-ში**( 07.12.2021 წელს დაიდო ხელშეკრულება და მოქმედებს 2025 წლის 20აგვისტო)“ და **”შპს წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის მრავალპროფილიანი კლინინიკური საავადმყოფოში“** (02.12.2021 წელს დაიდო ხელშეკრულება და მოქმედების ვადა 2025 წლის 20 აგვისტო) გაფორმებული ხელშეკრულებით გაუწევენ მომსახურებას 30-30 პროფესიულ სტუდენტს და განხორციელდება შემდეგი მოდულების სწავლა:

-კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო;

- კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

PDF Eraser Free

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
-შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

**„საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან“** (07.12. 2021 წელს დაიდო ხელშეკრულება და მოქმედების ვადა არის 3 წელი) ხელშეკრულება გაფორმებულია 20 პროფესიულ სტუდენტზე და გაივლიან მოდულს „ შინმოვლა“.

მოდული „ავადმყოფის მოვლა“ განხორციელდება კოლეჯში, კოლეჯში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც წარმოდგენილია ყველა საჭირო ინვეტარი, რაც საჭიროა სწავლი შედეგების მისაღწევად..

საქველმოქმედო ფონდ „კარიტასში“ მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულის (შინმოვლა) სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), შშმ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. სტუდენტთა და კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების თანაფარდობა აღემატება 1/7 შეფარდებას.

ავტორიზაციის ექსპერტებს ჰონდათ საშუალება გასაუბრების, პრაქტიკის ობიეტების წარმომადგენლებთან სადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ყოველივე ზემოხსენებული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პროგრამის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას იქნებიან უზრუნველყოფილი, როგორც სავალდებულო რესურსითა და აღჭურვილობით, ასევე შესაბამისი სასწავლო მეთოდებითა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

ხელმძღვანელებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები, მათი უმეტესობა (8) სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 9 მოქმედი ექთანი და თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები(8). თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია დაწესებულების მიერ. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული განათლების მასწავლებლების გარკვეულ ნაწილს აქვს მოდულური პროგრამებით სწავლების ან/და მოდულების შემუშავებაში მონაწილეობის გამოცდილება, პროგრამის განმახორციელებლთა ნაწილმა, გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქვთ სწავლების და შეფასების გამოცდილება, თუმცა მოდულური პროგრამების სპეციფიკას არ იცნობენ. სამოქმედო გეგმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა 2022 წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში.

4.პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია ბრძანებით და გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. დაწესებულების მიერ წარმოგენილი პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის ადაპტირება, დანერგვასა და მოდიფიცირებაში, ასევე მონაწილეობს პროგრამის განხორციელების მონიტორინგში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი იყო პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრი, თუმცა როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას აღნიშნა რამდენიმე დღეა რაც ჩაერთო პროგრამის მოსამზადებელ სამუშაოებში, აღნიშნული ახსნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის პერიოდში შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა პროფესიულ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების საშუალებით. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსს მქონე პირებისთვის.

**დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული როგორ უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას - საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

**განვითარების რეკომენდაცია: შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება.**

7. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტში შემოსავლის სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროფესიული მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯებს, კომუნალურ გადასახადებს, ძირითადი საშუალებების ცვეთის და სხვა ხარჯებს. განსაზღვრულია რენტაბლობის ზღვარი-15 პროფესიული სტუდენტი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ჩუქების ხელშეკრულებებით;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- სამოქმედო გეგმით'
- ინტერვიურებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ქიკაძე

------------------------

------------------------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ქოჯაშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომლითაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. რეგულაციით ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებსა და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრება და შედეგების შესაბამის ოქმში ასახვა. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესის მიხედვით პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია დაწესებულებაში დანერგილი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში ცვლილების ინიციატორი შესაძლებელია იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და/ან სხვა დაინტერესებული პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ქიქაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმას თან ახლავს, ქართული ენის მოდულების განხორციელების გეგმა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების დაშვების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების ვადა.

2.დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სწავლების ცვლებში განხორციელება, ასევე განსაზღვრულია ის სწავლის შედეგები, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია დისტანციურ რეჟიმში, ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში სწავლებას განახორციელებენ მუდლის ან/და ზუმის გამოყენებით.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული მოდულებით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, ინტერაქტიული სწავლება, პრაქტიკული სწავლება და სხვა. პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

------------------------

PDF Eraser Free

რომ განმახორციელებელი პერსონალი წარმოადგენენ სამედიცინო დაწესებულების მოქმედ თანამშრომლებს, ისინი იცნობენ დარგის შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებს და მას ასევე იყენებენ სწავლების პროცესში.

4. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენებენ დაწესებულების აუდიტორიებს, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო, გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს მოქმედი სტანდარტები და უსაფრთხოების წესები.

პრაქტიკული სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

5. თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება ხელშეკრულებებით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 წლის ვადით, ხელშეკრულებით განსაზღვრულია პარტნიორ ორგანიზაციაში განსახორციელებლი მოდულები და მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. გარდა ერთი ობიექტისა, პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ კლინიკური სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება შესაბამისი მარეგულირებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა „შპს ფსიქიკური ჯამრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ „შპს ფსიქიკური ჯამრთელობის და ნარკომანიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

პრევენციის ცენტრისთვის“ სანებართვო მოწმობა გაცემულია 2010 წლის 21 დეკემბერს. სამედიცინო საქმიანობის სახედ განსაზღვრულია ფსიქიატრია.

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული პროგრამით, მოდულებით და სასწავლო გეგმით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვებით.
- შესყიდვის აქტებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის წესი“, სადაც განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები.

2.ზემოთხსენებული რეგულაცია ითვალისწინებს ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმებს, ვერიფიკაციის პროცედურას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის კრიტერიუმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა.

3.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შესრულების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც განხორციელდება მათი განადგურება კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება კოლეჯში 3 წლის განმავლობაში. რეგულაციის თანახმად შესრულების მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

4. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის“, რომლის თანახმადაც დაწესებულება განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას, მათ ანალიზს განსაზღვრული მეთოდოლოგიით და პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის აღნიშნულ საკითხთან ინტერვიურების შედეგად შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელსა და შეფასების ინსტრუმენტის ავტორს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის;
- შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის წესით;

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 60 პროფესიული სტუდენტი- ქ. თბილისი ნ.ხოშარაულის ქუჩა N 30ა მეორე სართული - მოდულური (ერთ მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტი) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

პრაქტიკის ობიექტებთან კლინიკური სწავლების მიზნებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილია ერთ მიღებაზე 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო კარიტასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულია ერთდროულად მაქსიმუმ 20 პროფესიული სტუდენტის სწავლება პრაქტიკული მოდულის „შინმოვლა" განხორციელების მიზნით.

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა

31.03.22

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------